ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ - ქალაქ თბილისის N82 საჯარო სკოლა, ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ზვიად ბერიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

წევრ(ებ)ი:

მარიამ კავლელიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ქალაქ თბილისის N82 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	208145283

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	თბილისი, ისანი-სამგორი, ნაკადულის ქ. №6
საფოსტო ინდექსი	0121
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	tbilisi82@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება MES 9 26 0000356246, 25.03.2026 წ.
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 25 მარტის MES 9 26 0000356246 ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა სსიპ - ქალაქ თბილისის N82 საჯარო სკოლის გეგმიური მონიტორინგი, დოკუმეტების შესწავლით. სკოლის მიერ გადმოგზავნილი იქნა მონიტორინგის ფარგლებში შესამოწმებელი კომპონენტების მიმართებით სათანადო მტკიცებულებები, ამასთან ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი და სკოლის მიერ მოწოდებული იქნა დამატებითი დოკუმენტები.

გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული „ა" და ,,დ“ ქვეპუნქტის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
1500	1300

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

დასკვნის პროექტში ხარვეზი არ გამოვლენილა. სკოლის მიერ 2026 წლის 04 მაისის MES 3 26 0000522867 კორესპონდენციით წარმოადგინელი არგუმენტირებული პოზიციის თანახმად, დაწესებულება სრულად იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის რჩევებს.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[1]

---

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*რჩევა*
ინდიკატორი N 1.1.1.1.	*სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს*	*სასურველია, სკოლის ხედვა უფრო მკაფიოდ ასახავდეს სკოლის სპეციფიკურ კონტექსტს, სკოლის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებს. ხედვაში მნიშვნელოვანია იკვეთებოდეს, რა განასხვავებს მოცემულ სკოლას სხვა საგანმანათლებო დაწესებულებისგან და რა არის მისი გრძელოვადიანი მიზანი კონკრეტულ რეალობაში. ეს ხელს შეუწყობს ხედვის უფრო რეალისტურობას, მის კავშირს პრაქტიკასთან და სტრატეგიულ განვითარებასთან, რაც გააძლიერებს ხედვის როლს როგორც სკოლის გრძელვადიანი განვითარების მიმართულების განმსაზღვრელ ინსტრუმენტს.*
ინდიკატორი N 1.2.1.2.	*სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და*	*სასურველია სკოლამ სტრატეგიული განვითარების გეგმაში განსაზღვროს კონკრეტული, გაზომვადი და შედეგზე*

	ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს	*ორიენტირებული ინდიკატორები, რაც გაამარტივებს როგორც მონიტორინგის პროცესს, ასევე მიღწეული შედეგების შეფასებას, აღნიშნული ხელს შეუწყობს სტარატეგიული გეგმის პრაქტიკულ გამოყენებას და სკოლის განვითარებაზე მისი გავლენის უკეთ წარმოჩენას.*
ინდიკატორი N 1.2.1.3.	*სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას*	სასურველია გაუმჯობესდეს სკოლის საქმიანობის დაგეგმვის პრაქტიკა, კერძოდ: ✓ სამოქმედო გეგმის შედგენისას თითოეული მიზანი პირდაპირ დაუკავშირდეს თვითშეფასების კონკრეტულ შედეგს ან გამოვლენილ პრობლემას; ✓ ჩამოყალიბდეს მკაფიო კავშირი: პრობლემა - მიზანი - აქტივობა - შედეგი; ✓ დაინერგოს მონაცემთა ანალიზის კულტურა (რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემების გამოყენება) ✓ პროცესში აქტიურად ჩაერთონ მასწავლებლები და სხვა დაინტერესებული მხარეები, რათა გაიზარდოს გეგმის რეალურობა და კუთვნილება; ✓ გაუმჯობესდეს მონიტორინგისა და უკუკავშირის მექანიზმი, რათა დროულად მოხდეს საჭიროებებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება. ექსპერტთა მოსაზრებით, აღნიშნული რჩევების გათვალისწინება დაეხმარება სკოლას, სამოქმედო გეგმა გადააქციოს რეალურ, ეფექტიან და განვითარებაზე ორიენტირებულ ინსტრუმენტად.

ინდიკატორი N 1.2.1.4	*სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია*	*2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში, მეტწილად მოცემულია შესრულების რაოდენობრივი ინდიკატორები, აღნიშნულიდან გამომდინარე სასურველია სკოლამ გადახედოს სამოქმედო გეგმის შესრულების ინდიკატორებს და რაოდენობრივთან ერთად, უფრო ფართოდ გამოიყენოს ხარისხობრივი მაჩვენებელი, რათა შეფასება არ შემოიფარგლოს მხოლოდ რაოდეობრივი შედეგებით და მეტად ასახავდეს მიღწეული შედეგების რეალურ ხარისხს.*
ინდიკატორი N 1.2.2.2	*მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით*	*სასურველია სკოლამ, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში მეტად გააძლიეროს შედეგებზე და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომა, სასურველია შეფასებისას განისაზღვროს, კონკრეტულად რა ცვლილებები მოხდა სასკოლო საზოგადოებისთვის, მათი დამადასტურებელი მტკიცებულებები და ამ შედეგების გამოყენების გზები სამომავლო დაგეგმვაში. აღნიშნული ხელს შეუწყობს პროცესის გამჭვირვალობას, მიღწეული შედეგების უკეთ წარმოჩენასა და სკოლის მდგრად განვითარებაზე მის ეფექტიან გავლენას.*
ინდიკატორი N 1.2.2.4	*სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის*	სასურველია, სკოლამ: ✓ განსაზღვროს მკაფიო მექანიზმები, თუ როგორ გამოიყენებს სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგებს შემდგომი დაგეგმვისთვის;

		✓ განახორციელოს შედეგების გაღრმავებული ანალიზი როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი ინდიკატორების საფუძველზე და გამოკვეთოს ლოგიკური კავშირი შედეგებს, მიღებულ გადაწყვეტილებებსა და ახალ აქტივობებს შორის. ✓ შესრულების შედეგები რეგულარულად განიხილოს შესაბამის ფორმატში (მაგ: სამუშაო ჯგუფი, პედაგოგიური საბჭო), განახორციელოს განხილვის შედეგების დოკუმენტირება და ასახვა მომდევნო წლის სამოქმედო გეგმაში. ექსპერტთა მოსაზრებით, აღნიშნული რჩევის გათვალისწინება ხელს შეუწყობს სკოლის განვითარების პროცესის უფრო მიზანმიმართულ წარმართვას, გადაწყვეტილებების მტკიცებულებებზე დაფუძნებას, რესურსების უფრო ეფექტიან გადანაწილებას და პრიორიტეტების სწორ განსაზღვრას.

სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*რჩევა*
ინდიკატორი N.4.2.1.6	*მოსწავლეთა / დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას*	*სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს კმაყოფილების კითხვარი, რომელსაც სასწავლო წლის ბოლოს გამოიყენებს მოსწავლეთა და მშობელთა საჭიროებებისა და კმაყოფილების დასადგენად. მიღებული უკუკავშირი დაეხმარება სკოლას, გააუმჯობესოს მომსახურება.*

ინდიკატორი N.4.2.2.2.	*სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით*	*სასურველია, სკოლამ დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისათვის დაგეგმოს სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან საინფორმაციო შეხვედრები, რაც დაეხმარება მოსწავლეებს სამომავლოდ პროფესიის არჩევასა და განსაზღვრაში.*

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ - ქალაქ თბილისის N82 საჯარო სკოლის (შემდგომში- სკოლა) მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის მისიაა ,,მოსწავლეზე ორიენტირებულ გარემოში, ფორმალური და არაფორმალური განათლების ორგანული შერწყმით, აღვზარდოთ ტოლერანტი, კონკურენტუნარიანი, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამცველი, მაღალი პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეები.“
სკოლის ხედვაში ასახულია სკოლის მისწრაფებები კერძოდ ,,სკოლა უახლოესი ათწლეულის განმავლობაში შეძლებს მოსწავლეთა აღჭურვას 21-ე საუკუნის კომპეტენციებითა და გლობალურ-ფუნქციური უნარებით, რასაც მივაღწევთ ინოვაციური და ტრადიციული სწავლების მეთოდების, სტრატეგიებისა და მიდგომების ერთობლიობივი გამოყენებით. კურსდამთავრებულები მეტაკოგნიციის საშუალებით შეძლებენ განათლების უწყვეტ პროცესში ორგანულ ჩართვას, რითაც თავს დაიმკვიდრებენ მრავალფეროვნებით გამორჩეულ კავკასიის რეგიონსა და სწრაფად ცვლად მსოფლიო შრომით ბაზარზე.“
სკოლა ვერ იქნება თავის ძირითად საქმიანობაში წარმატებული, თუ ის როგორც ორგანიზაცია არ იქნება მდგრადი. სწორედ აღნიშნულის გააზრებას, ხელშეწყობას და განვითარებას ემსახურება სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების ჩამოყალიბება.
სკოლის ხედვა უნდა აძლევდეს სასკოლო საზოგადოებას შესაძლებლობას ხედავდეს განსხვავებას არსებულ და სასურველ მდგომარეობას შორის. კარგად ფორმულირებული ხედვა სასურველია იყოს მოკლე (ორი - სამი წინადადება), მარტივად გასაგები ნებისმიერი მკითხველისთვის, მამოტივირებელი (სასკოლო საზოგადოებისთვის), უნიკალური (არა ზოგადი, რომელიც ნებისმიერ სკოლას მოერგება) და ამბიციური (ეს არის იდეალური სამომავლო სურათის აღწერა და არა მოკლე ვადაში მისაღწევი მიზანი). სასურველია , ხედვაში განსაზღვრული იყოს დროის ის პერიოდი, რომელშიც უნდა განვითარდეს სკოლა.
ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით სკოლის ხედვა სათანადოდ ვერ ასახავს სკოლის უნიკალურობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე სასურველია, სკოლის ხედვა უფრო მკაფიოდ ასახავდეს სკოლის სპეციფიკურ კონტექტს, სკოლის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებს. ხედვაში მნიშვნელოვანია იკვეთებოდეს, რა განასხვავებს მოცემულ სკოლას სხვა საგანმანათლებო დაწესებულებისგან და რა არის მისი გრძელოვადიანი მიზანი კონკრეტულ რეალობაში. ეს ხელს შეუწყობს ხედვის უფრო რეალისტურობას, მის კავშირს პრაქტიკასთან და სტრატეგიულ განვითარებასთან, რაც გააძლიერებს ხედვის როლს როგორც სკოლის გრძელვადიანი განვითარების მიმართულების განმსაზღვრელ ინსტრუმენტს.
აღსანიშნავია, რომ ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან ხედვის შესაბამისობა არ გულისხმობს მიზნების პირდაპირ ციტირებას ზემოთ აღნიშნული აქტებიდან, არამედ მათ სიღრმისეულ გააზრებას და მიზნის/მიზნების კონტექსტში სკოლის როლის გაცნობიერებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლა მისიით და ხედვით ხაზს უსვამს მოსწავლეთა უსაფრთხო, პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირების აუცილებლობას, რაც გარანტიას ქმნის სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები არის სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის ნაწილი, რომლის შემუშავების პროცესში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება.
წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ფილოსოფიის შემუშავების პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებელი იყო სკოლის დირექტორი, რომელიც სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციის გზით, უზრუნველყოფდა საჭირო ინფორმაციის შეგროვებას. **ინდიკატორის მითხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანება და სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები, რომლითაც დასტურდება მისიის, ხედვის და ღირებულებების გაზიარება სასკოლო საზოგადოებისთვის. **ინდიკატორის მითხოვნები დაკმაყოფილებულია**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

მისია, ხედვა, ღირებულებები გამოქვეყნებულია სკოლის ვებ-გვერდზე, რაც უზრუნველყოფს მის საჯაროდ ხელმისაწყვდომობას. **ინდიკატორის მითხოვნები დაკმაყოფილებულია**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. **ინდიკატორის მითხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მისია,ხედვა და ღირებულებები;
- სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანება (N2-58 26.01.2026)
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები.
- სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა.
- სკოლის ვებგვერდი (skolebi.emis.ge)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტი (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით N 2-40, 23.01.2026 წელი.) რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული, სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და შემდგომში მათი განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს. წარმოდგენილი დოკუმენტით, იფარება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების საკითხები, მოიცავს სასკოლო საზოგადოებისა და ჩართული მხარეების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს.
მეთოდოლოგიის თანახმად, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესში ჩართული არიან შემდეგი მხარეები:

- სკოლის დირექცია;

- სასკოლო საზოგადოება (სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებელი, მოსწავლე/მოსწავლეთა თვითმმართველობა, მშობელი);
- სამეურვეო საბჭო;
- თემი (ინტერესის გამოხატვის შემთხვევაში).

ინდიკატორის მითხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, (2025 - 2032 წწ) რომელიც მოიცავს სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, განსაზღვრავს სტრატეგიულ მიზანს და მიზნის მიღწევის გზებს. სტრატეგიული გეგმა არის ციკლური, კერძოდ განსაზღვრულია დოკუმენტის განახლება/მომზადება ყოველ 7 წელიწადში ერთხელ.

სტრატეგიული გეგმა თანხვედრაშია მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან და დგინდება აღნიშნულ დოკუმენტებთან შესაბამისობა.

სტრატეგიული გეგმა მოიცავს ინფორმაციას გარემო ფაქტორების შესწავლისა და SWOT (ძლიერი მხარეები, სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები) ანალიზის შესახებ.

სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრულია შემდეგი სტრატეგიული მიმართულებები:

- სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;
- ადამიანური რესურსის განვითარება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;
- სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;
- მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება;
- ორგანიზაციული განვითარება.

სტრატეგიული განვითარების გეგმაში არ არის განსაზღვრული შესრულების ინდიკატორები, რომლიც არის დასახული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის პროგრესის გაზოვმის საშუალება.

სასურველია სკოლამ სტრატეგიული განვითარების გეგმაში განსაზღვროს კონკრეტული, გაზომვადი და შედეგზე ორიენტირებული ინდიკატორები, რაც გაამარტივებს როგორც მონიტორინგის პროცესს, ასევე მიღწეული შედეგების შეფასებას, აღნიშნული ხელს შეუწყობს სტარატეგიული გეგმის პრაქტიკულ გამოყენებას და სკოლის განვითარებაზე მისი გავლენის უკეთ წარმოჩენას. **ინდიკატორის მოითხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025-2026 წწ), რომელიც ეფუძნება სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმას, ასევე წარმოდგენილი იქნა გასული და მიმდინარე სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, სკოლის სტატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები.

სკოლის სამოქმედო გეგმა, წარმოადგენს განვითარების ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტს, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს რეალურ მონაცემებსა და მტკიცებულებებს. წლიური თვითშეფასება არის პროცესი, რომელიც ასახავს სკოლის ძლიერ და სუსტ მხარეებს, გამოწვევებსა და შესაძლებლობებს. თუ სამოქმედო გეგმა ნაკლებად არის დაკავშირებული თვითშეფასების შედეგებთან, არსებობს რისკი, რომ დაგეგმილი აქტივობები არ პასუხობდეს რეალურ საჭიროებებს და ვერ უზრუნველყოფდეს ხარისხის გაუმჯობესებას.

სკოლის საქმიანობის დაგეგმვის პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ ნაკლებად გამოიყენება მტკიცებულებებზე დაფუძნებული დაგეგმვის მეთოდი, რაც სკოლის განვითარებას გახდიდა უფრო მიზანმიმართულს და შედეგზე ორიენტირებულს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველია გაუმჯობესდეს სკოლის საქმიანობის დაგეგმვის პრაქტიკა, კერძოდ:

- ✓ სამოქმედო გეგმის შედგენისას თითოეული მიზანი პირდაპირ დაუკავშირდეს თვითშეფასების კონკრეტულ შედეგს ან გამოვლენილ პრობლემას;
- ✓ ჩამოყალიბდეს მკაფიო კავშირი: პრობლემა - მიზანი - აქტივობა - შედეგი;
- ✓ დაინერგოს მონაცემთა ანალიზის კულტურა (რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემების გამოყენება)

- ✓ პროცესში აქტიურად ჩაერთონ მასწავლებლები და სხვა დაინტერესებული მხარეები, რათა გაიზარდოს გეგმის რეალურობა და კუთვნილება;
- ✓ გაუმჯობესდეს მონიტორინგისა და უკუკავშირის მექანიზმი, რათა დროულად მოხდეს საჭიროებებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება.

ექსპერტთა მოსაზრებით, აღნიშნული რჩევების გათვალისწინება დაეხმარება სკოლას, სამოქმედო გეგმა გადააქციოს რეალურ, ეფექტიან და განვითარებაზე ორიენტირებულ ინსტრუმენტად. **ინდიკატორის მოითხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

სამოქმედო გეგმაში ასახულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, შესაბამისი რესურსები და დასახული მიზნების რეალიზების ვადები.

2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში, მეტწილად მოცემულია შესრულების რაოდენობრივი ინდიკატორები, აღნიშნულიდან გამომდინარე **სასურველია სკოლამ** გადახედოს სამოქმედო გეგმის შესრულების ინდიკატორებს და რაოდენობრივთან ერთად, უფრო ფართოდ გამოიყენოს ხარისხობრივი მაჩვენებელი, რათა შეფასება არ შემოიფარგლოს მხოლოდ რაოდეობრივი შედეგებით და მეტად ასახავდეს მიღწეული შედეგების რეალურ ხარისხს. **ინდიკატორის მოითხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია;

- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს, კერძოდ აღნიშნულ საკითხებს არეგულირებს დოკუმენტის მე-12 თავი რომლის თანახმადაც:
სკოლა ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგს დეკემბერ-მარტის პერიოდში და შეფასებას სასწავლო წლის ბოლოს, ივნისში. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე.
სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხორციელების შუაში და ბოლოს.
სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ნიშნავს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ასევე მოიცავს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას. შეფასება ნიშნავს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ შემუშავებული მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მე-12 თავის მე-2 პუნქტის თანახმად ,,სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხორციელების შუაში და ბოლოს.

აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლას მოცემულ ეტაპზე სტატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგი და შეფასება განხორციელებული ვერ ექნებოდა.

სკოლას მეთოდოლოგიით დადგენილი წესით, განხორციელებული აქვს 2024-2025 და 2025-2026 სასწავლო წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება. წარმოდგენილია სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები.

სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების ამსახველი დოკუმენტაცია, მკაფიოდ ვერ პასუხობს კითხვებს, თუ: (ა) რა შეიცვალა სასკოლო საზოგადოებისთვის? (ბ) რა მტკიცებულება გვაქვს ამ ცვლილების დასადასტურებლად? (გ) როგორ გამოიყენებს ამ გამოცდილებას სკოლა მომავალში?

მონიტორინგისა და შეფასების არსებული პრაქტიკა მეტწილად აღწერითი ხასიათისაა და ნაკლებად არის ორიენტირებული შედეგებზე. ნაკლებად იკვეთება კონკრეტული გავლენა მოსწავლეებზე, მასწავლებლებზე და სასკოლო გარემოზე, ასევე შეზღუდულია მტკიცებულებებზე დაფუძნებული ანალიზი (მაგ: რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემები, კვლევები, უკუკავშირი) გარდა ამისა ნაკლებად ჩანს, თუ როგორ გამოიყენება მიღებული შედეგები შემდგომი დაგეგმვისა და განვითარების პროცესში.

სკოლის წარმარტება მნიშვნელოვან წილად დამოკიდებულია სწორ და თანმიმდევრულ დაგეგმვასა და მისი შესრულების შეფასების შესაძლებლობაზე. აღნიშნული პროცესი აძლიერებს და ავითარებს სკოლას, როგორც ინსტიტუციას, უქმნის მეტ შესაძლებლობას მოსწავლეებს, მასწავლებლებს, სასკოლო საზოგადოების ყველა წარმომადგენელს.

სამოქმედო გეგმის განხორციელების ეფექტური მონიტორინგი და შეფასება კი სკოლას აძლევს შესაძლებლობას, მომავალი წლის სამოქმედო გეგმა გახადოს უფრო მეტად გაზომვადი და შედეგებზე ორიენტირებული.

სასურველია სკოლამ, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში მეტად გააძლიეროს შედეგებზე და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომა, სასურველია შეფასებისას განისაზღვროს, კონკრეტულად რა ცვლილებები მოხდა სასკოლო საზოგადოებისთვის, მათი დამადასტურებელი მტკიცებულებები და ამ შედეგების გამოყენების გზები სამომავლო დაგეგმვაში. აღნიშნული ხელს შეუწყობს პროცესის გამჭვირვალობას, მიღწეული შედეგების უკეთ წარმოჩენასა და სკოლის მდგრად განვითარებაზე მის ეფექტიან გავლენას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები არის საჯარო, კერძოდ სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები სკოლას გამოქვეყნებლი აქვს ვებგვერდზე. სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების შედეგები ამ ეტაზპე შეფასებული არ არის, ვინაიდან არ არის დამდგარი მეთოდოლოგიით განსაზღვრული სტრატეგიული გეგმის შეფასების პერიოდი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლის განვითარება მოითხოვს არა მხოლოდ სამოქმედო გეგმის შესრულებას, არამედ მისი შედეგების გააზრებასა და გამოყენებას შემდგომი გადაწყვეტილებების მისაღებად. მნიშვნელოვანია არსებობდეს კავშირი დაგეგმვასა და რეალურ პროგრესს შორის.
სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით (სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები, სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები, პასუხისმგებელი პირების ანგარიშები) დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების გამოყენებას სკოლის შემდგომი განვითარებისთვის, თუმცა სკოლის მიერ დანერგილი პრაქტიკა საჭიროებს გაუმჯობესებას, კერძოდ ამ ეტაპზე სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების გამოყენება არ არის საკმარისად სისტემური და შედეგზე ორიენტირებული.

მოცემული ფაქტობრივი გარემოება ამცირებს დაგეგმვის პროცესის ეფექტიანობას. შედეგად არსებობს რისკი, რომ სკოლის განვითარების პროცესში არ იყოს სრულად გათვალისწინებული რეალური საჭიროებები და მიღწეული შედეგები.
აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე სასურველია, სკოლამ განსაზღვროს მკაფიო მექანიზმები, თუ როგორ გამოიყენებს სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგებს შემდგომი დაგეგმვისთვის, სასურველია განახორციელოს შედეგების გაღრმავებული ანალიზი როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი ინდიკატორების საფუძველზე და გამოკვეთოს ლოგიკური კავშირი შედეგებს, მიღებულ გადაწყვეტილებებსა და ახალ აქტივობებს შორის. სასურველია, რომ შედეგები რეგულარულად განიხილებოდეს შესაბამის ფორმატში (მაგ: სამუშაო ჯგუფი, პედაგოგიური საბჭო), ხდებოდეს განხილვის შედეგების დოკუმენტირება და ასახვა მომდევნო წლის სამოქმედო გეგმაში.
ექსპერტთა მოსაზრების აღნიშნული რჩევის გათვალისწინება ხელს შეუწყობს სკოლის განვითარების პროცესის უფრო მიზანმიმართულ წარმართვას, გადაწყვეტილებების მტკიცებულებებზე დაფუძნებას, რესურსების უფრო ეფექტიან გადანაწილებას და პრიორიტეტების სწორ განსაზღვრას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტი;
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები;
- სკოლის ვებგვერდი (skolebi.emis.ge);
- სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა
4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა
4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი, ასევე მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია მოსწავლის კანონით გათვალისწინებული დაცვის საკითხები. დოკუმენტის შესაბამისად განსაზღვრულია, რომ კლასის დამრიგებელი აცნობს მოსწავლეებს მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შესახებ ინფორმაციას. მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმები განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესით, რომელსაც დამრიგებელი აცნობს მოსწავლეებსა და მშობლებს ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო რეგულაციები, მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი, სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და ა.შ. დოკუმენტების შინაარსის თანახმად, სკოლა პერიოდულად ახორციელებს რეგულაციის გაზიარებას მოსწავლეებისთვის. დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ მოსწავლეთა უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლის მიერ მოწოდებული იქნა მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებების რამდენიმე ნიმუში. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად განსაზღვრულია ხელშეკრულების საგანი, მხარეთა უფლება - მოვალეობები და ა.შ. საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების შინაარსით დგინდება, ის არის კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ქალაქ თბილისის N82 საჯარო სკოლის მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი;
- სსიპ - ქალაქ თბილისის N82 საჯარო სკოლის მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლების დაცვის დოკუმენტი;

- სსიპ - ქალაქ თბილისის N82 საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
- სსიპ - ქალაქ თბილისის N82 საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025 - 2026 სასწავლო წელი);
- მოსწავლესთან/ მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულება;

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი. აღნიშნული წესის შინაარსის შესაბამისად განსაზღვრულია პირველ კლასში მოსწავლის რეგისტრაცია, პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვა, ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხა, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების და ჩარიცხვის პროცედურები, მოსწავლის სტატუსის შეჩერების და აღდგენის პროცედურები, მოსწავლის კლასიდან - კლასში გადაყვანა. დოკუმენტის შესწავლის თანახმად დგინდება, რომ სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი. სკოლის მიერ მოწოდებული იქნა მოსწავლის ჩარიცხვის, მოსწავლის ამორიცხვისა და მოსწავლისათვის სტატუსის შეჩერების ბრძანებების ნიმუშები, რისი მეშვებითაც დგინდება, რომ სკოლა იცავს აღნიშნული წესით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის განსაზღვრულ პროცედურებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის გათვალისწინებით დასტურდება, რომ სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი, კერძოდ აღნიშნული ინფორმაცია განთავსებულის სკოლის ვებგვერდზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის მიერ დამტკიცებული შინაგანაწესი განსაზღვრავს დამრიგებლის მიერ მოსწავლისა და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლისათვის ინფორმაციის მიწოდების ვადებსა და ფორმებს. სკოლის მიერ ასევე იქნა მოწოდებული დამრიგებლების მოხსენებითი ბარათების ნიმუშები სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტების მშობლებისა და მოსწავლეებისათვის გაცნობის შესახებ. აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლის ან მისი პერსონალის მიერ

გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ქალაქ თბილისის N82 საჯარო სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი;
- სსიპ - ქალაქ თბილისის N82 საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
- სსიპ - ქალაქ თბილისის N82 საჯარო სკოლის დამრიგებლის მოხსენებითი ბარათების ნიმუშები .

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობის მიზნით, შემუშავებული და სკოლის დირექტორის N2-94 ბრძანებით დამტკიცებული აქვს მოსწავლეთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი, რომლის შესაბამისად განსაზღვრულია მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპები და მნიშვნელოვანი ფაქტორები, პროცესები, მხარდაჭერის ფორმები, პირველკლასელთა ტრანზიციის, სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციის და ინკლუზიური გარემოს შექმნის მექანიზმები.
აღნიშნული დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლის მოსწავლეთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმის შესახებ დოკუმენტით დგინდება, რომ მოსწავლის პირველ კლასში მიღებიდან სკოლის საშუალო საფეხურის დაძლევამდე სკოლა ხელს უწყობს მოსწავლის ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. შემუშავებული მექანიზმების შესაბამისად, მოსწავლის ადაპტაციის მიზნით სკოლა იყენებს მრავალფეროვან აქტივობებს, ამ პროცესში აქტიურად არის ჩართული კლასის დამრიგებელი, მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი, სკოლის ფსიქოლოგი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ერთ – ერთ ამოცანას წარმოადგენს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის სისტემის შექმნა. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა რემედიაციის წესი, რომელიც არეგულირებს სწავლაში სირთულეების მქონე მოსწავლეთა მხარდაჭერას, რემედიაციის პროცესში აქტიურად არის ჩართული როგორც კლასის დამრიგებელი, ასევე საგნის მასწავლებელი. საჭიროების შემთხვევაში მოსწავლე დამრიგებლისგან და შესაბამისი საგნის მასწავლებლისგან იღებს სათანადო კონსულტაციას და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევის გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლას დამტკიცებული აქვს მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონირი წარმომადგენლი უფლებების დაცვის დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია მოსწავლის, მისი კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების შესახებ ინფორმაცია.
სკოლის 2025 - 2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ერთ – ერთ ამოცანად განსაზღვრულია მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის სისტემის უზრუნველყოფა, რომლის აქტივობებად გათვალისწინებულია სწავლა – სწავლების პროცესში მხარდამჭერი გარემოს შექმნა და საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციების შეთავაზება, კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა, სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმის დახვეწა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლის დირექტორის N2-98 ბრძანებით დამტკიცებულია მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი, სკოლის 2025 - 2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად ერთ - ერთ ამოცანად განსაზღვრულია დამატებითი სერვისების განვითარება, რომელიც მოიცავს შემდეგ აქტივობებს: კლუბების/წრეების ფუნქციონირება და გამრავალფეროვნება; შესაბამისი სასწავლო აქტივობების დაგეგმვა/ორგანიზება; მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტივობების გაზრდა. დაწესებულებამ არაფორმალურ განათლებასთან დაკავშირებით წარმოადგინა სკოლის თვითმმართველობის სამოქმედო გეგმა, ქიმიის კლუბი „კიურის“ დებულება, ასევე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მოყვარულთა „ტესლას კლუბის“ წესდება, შეხვედრების განრიგი და დაგეგმილი აქტივობების/ღონისძიებების ჩამონათვალი. დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი, რომელიც საშუალებას იძლევა მოსწავლემ ინდივიდუალურად ან მოსწავლეთა ჯგუფმა მიმართოს სკოლის ადმინისტრაციას გაუზიაროს თავისი ინიციატივა და სამომავლო ხედვა. სკოლას შემუშავებული აქვს მიმართვის ფორმა, რომელიც შეთავაზებული პროექტის ფარგლებში ითვალისწინებს ბიუჯეტის განსაზღვრას. სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სკოლის მმართველობით პროცესის სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ეტაპებს, ასევე მასზე პასუხისმგებელ პირებს. წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად ჩანს, რომ სკოლა აკეთებს SWOT ანალიზს და მისი შედეგების მიხედვით განსაზღვრავს გასაუმჯობესებელ საკითხებს. დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას. **სასურველია,** სკოლამ შეიმუშაოს კმაყოფილების კითხვარი, რომელსაც სასწავლო წლის ბოლოს გამოიყენებს მოსწავლეთა და

მშობელთა საჭიროებებისა და კმაყოფილების დასადგენად. მიღებული უკუკავშირი დაეხმარება სკოლას, გააუმჯობესოს მომსახურება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ქალაქ თბილისის N82 საჯარო სკოლის რემედიაციის წესი;
- სსიპ - ქალაქ თბილისის N82 საჯარო სკოლის მოსწავლეთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმის წესი;
- სსიპ - ქალაქ თბილისის N82 საჯარო სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- სსიპ - ქალაქ თბილისის N82 საჯარო სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- სსიპ - ქალაქ თბილისის N82 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი;
- სსიპ - ქალაქ თბილისის N82 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შესახებ;
- სსიპ - ქალაქ თბილისის N82 საჯარო სკოლაში მოქმედი კლუბი „ კიურის“ დებულება;

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლის 2025 - 2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ერთ - ერთ აქტივობად განსაზღვრულია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა. სკოლას გაფორმებული აქვს მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობის მიზნით მემორანდუმი შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA" სთან, სსიპ- კოლეჯ „სპექტრთან". პროფესიული განათლებით დაინტერესებულ მოსწავლეებს საშუალება აქვთ დაეუფლონ ეროვნულ სასწავლო გეგმასთან ინტეგრირებულ სასურველ პროფესიულ პროგრამებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლის 2025 - 2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, განსაზღვრულია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა, რაც გულისხმობს სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობას, მათთან მემორანდუმების გაფორმებას, უნივერსიტეტებთან თანამშრომლობასა და პროექტების განხორციელებას.
სასურველია, სკოლამ დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისათვის დაგეგმოს სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან საინფორმაციო შეხვედრები, რაც დაეხმარება მოსწავლეებს სამომავლოდ პროფესიის არჩევასა და განსაზღვრაში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლამ წარმოადგინა SWOT ანალიზი, რომლის შინაარსის თანახმად განისაზღვრა სკოლაში არსებული დადებითი და სუსტი მხარეები. SWOT ანალიზის საფუძველზე ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სკოლამ განსაზღვრა შესაბამისი გასატარებელი ღონისძიებები. აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ქალაქ თბილისის N82 საჯარო სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- სსიპ - ქალაქ თბილისის N82 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი;
- სსიპ - ქალაქ თბილისის N82 საჯარო სკოლის SWOT ანალიზი.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლის დირექტორის N2-96 ბრძანებით დამტკიცებულია სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმის შესახებ დოკუმენტი, რომლის შინაარსის თანახმად განსაზღვრულია ინკლუზიური განათლება, პროგრამის მიზანი, სწავლასთან დაკავშირებული სირთულის პირველადი მართვა, შესაფასებლად წარსადგენი დოკუმენტაცია, შეფასების პროცედურები, სსსმ მოსწავლის სწავლებისთვის განსახორციელებელი ღონისძიებები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ისგ ჯგუფის წევრები, ისგ ფორმირების ეტაპები, სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება, ინკლუზიურ განათლებაზე შიდა მონიტორინგის მექანიზმები. დოკუმენტის შინაარსიდან დგინდება, რომ სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლამ წარმოადგინა სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება. აღნიშნული დოკუმენტით დგინდება, რომ სკოლას შექმნილი აქვს სსსმ მოსწავლისათვის ისგ ჯგუფი, სადაც გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, ჯგუფი დაკომპლექტებულია შემდეგი წევრებით: დამრიგებელი, მასწავლებლები რომლებიც უშუალოდ ასწავლიან საგანს, სსსმ მოსწავლის მშობელი / კანონიერი წარმომადგენელი, სკოლაში ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი/კოორდინატორი, საჭიროების შემთხვევაში მოწვეული სპეციალისტი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ქალაქ თბილისის N82 საჯარო სკოლის სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო რესურსების მიწოდების რეგულაციის დოკუმენტი.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი**

მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სკოლა ამ ეტაპზე დამატებით არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას არ ახორციელებს, ვინაიდან მოწოდებული ინფორმაციით სკოლის ტერიტორიაზე დროებით განთავსებულია მეორე საჯარო სკოლა (სსიპ- ქალაქ თბილისის N83 საჯარო სკოლა). შესაბამისად, სკოლა ამ ეტაპზე მოკლებულია შესაძლებლობას განახორციელოს დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურება. **ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას.**

   სკოლა ამ ეტაპზე დამატებით არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას არ ახორციელებს. **ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლა ამ ეტაპზე დამატებით არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას არ ახორციელებს.**ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევის შესახებ ისანი-სამგორის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიმართ სკოლის მიწერილობა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

თარიღი: 05.05.2026 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: